ადრესატი:

ნუგზარ ჯამბურია
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**63-63233075**
თარიღი: **03/11/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს, ბატონ ნუგზარ ჯამბურიას,

ამავე საკრებულოს

შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და

სოციალურ საკითხთა კომისიის

თავმჯდომარის გიორგი ლეჟავას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ნუგზარ,

მოგახსენებთ, რომ შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში გაერთიანებულია საკრებულოს 8 დეპუტატი. კომისია მუშაობას წარმართავს საკრებულოზე დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება მოხდა 2022 წლის იანვარში. მიმდინარე წლის 10 თვეში სულ ჩატარებულია 5 სხდომა. მათ შორის გაერთიანებული 4 განსახილველი საკითხები შეეხებოდა ჯანდაცვის პროგრამებში ფინანსურ ცვლილებებს, ასევე მოქალაქეთა განცხადებების განხილვას. კომისია აქტიურად არის ჩართული სოციალური პროგრამების შემუშავებაში, ახდენს უმუშევართა აღრიცხვასა და მათი დასაქმების ორგანიზებას. აღნიშნული პრობლემის ნაწილობრივი გადაწყვეტის კარგ საშუალებად იქცა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დასაქმების პროგრამა.

დღეისათვის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დასაქმებული იქნა 800-მდე პირი. კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია მერიის სოციალურ სამსახურთან. ზედამხედველობას უწევს ფინანსების მიზნობრივ ხარჯვას. მიმდინარე წლის 10 თვის მონაცემებით სოციალური და ჯანდაცვის სხვადასხვა პროგრამით ისარგებლა 3841 მოქალაქემ.

კომისია ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს მოსახლეობის მიღებას. მიმდინარე წლის 10 თვეში კომისიას სხვადასხვა საკითხზე მიმართა 328 ადამიანმა. კომისიაში ხდება მათი თხოვნების აღრიცხვა.

კომისიის წევრები აქტიურად მონაწილეობენ ბიუროსა და საკრებულოს სხდომების მუშაობაში.

პირადად მე ვარ მერიასთან არსებული რამდენიმე კომისიის წევრი. (უსახლკაროთა, შ.შ.მ.პ. გენდერული თანასწორობის) მიუხედავად გაწეული მუშაობისა გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებით დასაქმების კუთხით. ასევე გასაუმჯობესებელი და დასახვეწია მთელი რიგი სოციალური პროგრამები.

კომისია და მისი თითოეული წევრი ცდას არ დააკლებს, რათა კიდევ მეტი გააკეთოს მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა უკეთესი დღისთვის.

გიორგი ლეჟავა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია-
შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე